

მანანა კვაჭანტირაძე  
(საქართველო)

პერსონაჟთა ქცევის ფსიქოლოგიური მოტივაციები  
ვაჟა-ფშაველას პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“:  
ალაზა

ზვიადაურს ღვთის ბრძანებით მთელი ბუნება გლოვობს, მაგრამ ამ გლოვის ადამიანის ხმა აკლია და ისიც ჩნდება. მგლოვიარე ქალი ალაზაა.

ზვიადაურის ბრძოლა აუცილებლად უნდა შეაფასოს პიროვნებამ და არა ბრბომ, რომლის აღქმაც სტიქიურია და არ გააჩნია მორალური ასპექტი. ამ შეფასებას იძლევა ალაზას გლოვა – თითქოს აგრძელებს და ხსნის ჯოყოლაზე ზვიადაურის მაგიური ზემოქმედების, „მონუსხვის“ არსს.

ვაჟა არაერთხელ აღნიშნავს ალაზას სილამაზეს. მთელ პოემას გასდევს ალაზას სიტურფის, მისი თლილი თითების, სინაზისა და ქალურობის ხატები. ალაზას განუწყვეტლივ თან მიჰყვება ავტორის ცოცხალი, მოხიბლული მზერა. რჩება შთაბეჭდილება, რომ ვაჟა თავს ვერ იკავებს ამ მშვენიერი ქალის აღწერისაგან და ენის ფარულ ესთეტიკურ და ეროგენულ შრეებს ამოსწევს მისი ხიბლის საჩვენებლად.

როგორც სილამაზის ცოცხალი ხატი – ბუნების მოვლენების მსგავსად – ვაჟასთვის ალაზაც სამყაროს ერთიანი მშვენიერების ნაწილია („არჩვი ყელ-გადაგდებული,/თმა-ხშირი, მთვარე პირადა“... „სხივ მიხდილს ვასკვლავს მაგონებს“...). სწორედ ამგვარ ქმნილებას დაადო კისრად ბუნებამ, და მასთან ერთად ტრადიციამ, „კაი ყმის“ გლოვა.

მაგრამ ვაჟა გვეუბნება, რომ ზვიადაურის სიბრალულით დაღვრილი ცრემლი ქალის ჩვეულებრივი ტირილი არაა, რომ ალაზას საკუთარი თემისა და ღმერთის რისხვისა ეხათრება, მაგრამ გრძნობა იმდენად ძლიერია, რომ მას გული მისდის. ვაჟა თავიდანვე გარკვევით ასახელებს გლოვის მიზეზს: „კაცის კაცურად სიკვდილი/ გულიდამ არა ჰქრებოდა.../ ქალის გულს იგი სურათი /შიგ გაეყარა ისრადა,/ იმან დაადვა ლამაზსა / დაკლულის გლოვა კისრადა“.

გლოვის ეს ვალდებულება ალაზას ქცევას სრულ და ცხად მოტივაციას სძენს, და მაინც: ვაჟა ღიად იწყებს ლაპარაკს იმაზე, რაც მკითხველის გონებაში კარგა ხანია კითხვას აჩენს: რა უნდა ჯოყოლას ცოლს ზვიადაურის „დაკვლის“ საყურებლად, რატომ არ დარჩა ხელფეხშეკრულ, დერეფანში დაგდებულ ქმართან? განა ჯოყოლას ამ დროს ნაკლებად სჭირდება თანაგრძნობა? „იმას აღარა ჰფიქრობდა,/ ჯოყოლა როგორ

არის. /ვის ცოლი ვის ქმარსა სტირის? /რას სჩადის ჭკვაზე მცდარიო, / იქნება ჰკლავენ ჯოყოლას,/ სახლსაც შაუხსნეს კარიო“. დავაკვირდეთ: ავტორი გვეუბნება, რომ გლოვის მოვალეობა ალაზას სხვა ყველაფერს ავიწყებს: ქმარსაც, ქისტებსაც და თავის ღმერთსაც, მაგრამ გონების ხმა უძლურია გულის ხმასთან („...გული თავისას შვრებოდა, / კაცის კაცურად სიკვდილი გულიდამ არა ჰქრებოდა“). აპელაცია გულთან – ამ შემთხვევაშიც ვაჟას ხელწერაა. ერთი მხრივ, „პანის“ ხელწერა, რომელიც ადამიანში გულს (ბუნებას) უფრო აღიარებს, ვიდრე გონებას, მეორე მხრივ კი ესაა ქრისტიანული მოძღვრების „გული“ – თანაგრძნობისა და სიყვარულის ორგანო.

აქ მოულოდნელ, ერთი შეხედვით, აუხსნელ ქმედებათა მთელი რიგია: ჯერ ის, რომ ალაზა ჯოყოლას ტოვებს და ზვიადაურს მიჰყვება მსხვერპლშენიშვნის ადგილას; შემდეგ: ალაზა, შინ დაბრუნების ნაცვლად, შელამებას ელოდება, რათა ზვიადაური დაიტყოს („სიბნელეს უცდის, მივიდეს,/ღამით იტიროს მკვდარიო...“); კიდევ უფრო მოულოდნელია ზვიადაურის პირიდან უღვაშის აჭრა. დაბოლოს, ალაზა ქმრისგან მალულად მეორე დილასაც მიდის ზვიადაურის ცხედრისთვის ლეშიჭამია ფრინველების მოსაგერიებლად. ქმედებათა ამ რიგიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უღვაშის აჭრის სცენა: ალაზა პირიდან თმის სამ ბენვს აჭრის ზვიადაურის ცხედარს და სახსოვრად ინახავს ჩიქილის ტოტში. ვაჟა საგანგებოდ უსვამს ხაზს ამ მოძრაობის სისათუთეს: „ჩიქილის ტოტში შეხვია /ბროლის თითებით თლილითა“.

გარდა იმისა, რომ ალაზას მოქმედება ზვიადაურის ხსოვნის სიმბოლური ნიშანია, ვაჟა უფრო აკონკრეტებს ამ სიბრალულის ემოციურ საფუძველს: ალაზა წარმოსახვით დგება ზვიადაურის ცოლის როლში: „ნეტავი იმას, ვინაცა/ მაგის მკლავზედა წვდებოდა,/ვისიცა მკერდი, ან კრული,/ მაგის გულ-მკერდსა სწვდებოდა!/ ნეტავი იმას ოდესმე/ ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა?“

უნდა აღინიშნოს, რომ პოემის ეს მონაკვეთი მოქმედებათა სამოტივაციო შრის უაღრესად ზუსტი ფსიქოლოგიური დამუშავებით ხასიათდება. ჩვენს წინაშეა ბუნდოვანი, გაურკვეველი ფიქრებითა და განცდებით შეპყრობილი ქალი, რომელსაც ამ გაურკვეველობის ახსნა ვერ მოუხერხებია. მას ენერგიას აცლის ბრძოლა საკუთარ თავთან. ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც ალაზას გლოვის მოტივაციისა და ზემოთ მოყვანილი დატყობის დასაზუსტებლად: ზვიადაურს იგი პირდაპირ კი არ მიმართავს, ანუ პირველ-მეორე პირში, როგორც ეს მოსალოდნელი იქნებოდა უშუალო, ინტიმური დიალოგის შემთხვევაში, არამედ როგორც „სხვას“, „უცხოს“ – მესამე პირში, რისი ნიშნებიცაა მესამე პირის ნაცვალსახელები „იმას“ და „მაგის“. ეს იმას ნიშნავს, რომ ალაზა ცხადად

აცნობიერებს, რომ ცოლის რანგში მისი ტირილი მხოლოდ როლია და არა რეალობა. სამაგიეროდ, რეალურია მისი მწუხარება და თანაგრძნობა მარტოობაში მოკლული ვაჟკაცის მიმართ. მაგრამ რას ნიშნავს „სამდურავს ეუბნებიან ალაზას გიშრის თმანიცა“? სავარაუდოდ, ვაჟა გიშრის თმების სამდურავს შემთხვევით არ ახსენებს და რაღაც, ანაზდად გაჩენილი, ქალის ცნობიერებისთვისვე ბოლომდე აუხსნელი განცდის შესახებ გვატყობინებს. თმა არაერთი ხალხის მითოსსა და ფოლკლორში ეროტიული ენერჯის გამტარი არხის სიმბოლოა (ქართულში ამის მაგალითია დალი, რომელსაც მონადირე თავისი გრძელი თმით აჰყავს გამოქვაბულში). ანალოგიურ როლს უნდა ასრულებდეს ამ ეპიზოდში ზვიადაურის უღვაშიც. სწორედ უშუალოდ „პირზე თმის აჭრის“ შემდეგ ეწყება ალაზას კომმარული ჩვენებები, ჩაესმის „საერთო წყრომის“ ხმები. ავტორის თხრობაში ასახული ეს აზრობრივ-ასოციაციური და კომპოზიციური ბმები, ცხადია, არაშემთხვევითია და დამატებით მნიშვნელობას სძენს ალაზას ქცევას ისევე, როგორც ის, რომ სასაფლაოდან გამოქცეულ ალაზაში სინდისის ხმა აღვიძებს არა ჯოყოლას, არამედ ძმის სახეს. სწორედ ძმა უფორიაქებს სინდისს, ეჭვქვეშ აყენებს მის ქალობას („შენი ქალობა ეგ არი?“).

ამ არეულობასა და რაღაც საიდუმლოს ალაზაში ჯოყოლაც ამჩნევს („ჩემს თვალებს ვერ დაემაღვის /იმ გრძნობის ნაკვალევია“), მაგრამ სავსებით ცხადია, რომ იმას, რასაც ამ „სხვა რამეზე“ („ჯოყოლა ეტყვის: დევს გარდა / სხვა რამ საქმეა კიდევ“) თვითონ ვაჟა ფიქრობს, სიცხადეს ჯოყოლას შეფასებით ანიჭებს და წერტილსაც უსვამს: „დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“. ისე ჩანს, რომ ამ სიტყვებს ჯოყოლასაც იგივე ძალა ათქმევინებს, რომელმაც ქალს დაკლულის ჭირისუფლობა და გლოვა დაადო კისრად. სწორედ ძმას ეპასუხება ჯოყოლას პირით ვაჟა, როცა ალაზას გლოვას ამართლებს, ჯოყოლა (ქმარი) წმენდს ნამუსს („უნამუსოვო! მისძახდნენ...“) ყველასგან (მათ შორის, საკუთარი თავისგანაც) ეჭვიმტანილ ქალს. ჯოყოლა, როგორც ქმარი, უარს ამბობს, ეჭვი შეიტანოს ამ ძალის მიერ გაჩენილ განცდაში. გავიხსენოთ: გლოვის მიზეზს ჯერ ასახელებს ალაზა („ძლიერ შემბრალდა ბეჩავი/ რომ უცხოეთში კვდებოდა/ არც ნათესავი, არც მოძმე, რომ ვისმე შეჰბრალებოდა...“), მერე კი ამ მიზეზს პასუხობს და ერთადერთ სიმართლედ აღიარებს ჯოყოლაც. მეტიც, ჯოყოლა არამხოლოდ ადასტურებს ამ, დროსივრცის გარეთ მდგომი, თანაგრძნობის მარადიული ძალის არსებობას („მუდამაც“), არამედ მაღლის რანგშიც გადაჰყავს იგი („იტირე? მადლი გიქნია,/ მე რა გამგე ვარ მაგისა“). ამ სიტყვების თქმამდე ჯოყოლა, ჩიბუხით ხელში, ბუხართან მჯდომი ელოდება ცოლს. მისი უმოქმედობის მიღმა შინაგანი მღელვარება იფარება, რომელიც ჯერ დიალოგში გადმოიღვრება,

შემდეგ კი ზედროულ და, შესაბამისად, მითოსურ სიტყვაში. არისტოტელეს განმარტებით, მითი ნიშნავს ფაბულას, ქმედებას. თუ ვაჟას გმირებს ამ თვალთ შევხედავთ, აუცილებლად აღმოვაჩინებთ, რომ მათ სიტყვა-საც, ფიქრსაც და სიზმარსაც მოქმედების ხასიათი აქვს, თანაც ეს ქმედება „სტუმარ-მასპინძლის“ სიუჟეტთან და პერსონაჟთა ხასიათებთან ერთად ყოველთვის აპელირებს ზედროულთან, მარადიულთან, მეტაფიზიკურთან და და შესაბამისად, მითოსურ სიტყვასთან.

ასე რომ, ჯოყოლას სიტყვებით ახსნილია ვაჟას საყვედურნარევი კილოც, რომელშიც არაპირდაპირ გაისმის თვით ალაზას სინდისის ხმა („იმას აღარა ჰფიქრობდა“...). აქ ჩვენს წინაშეა შემთხვევა, როცა ავტორი, მართალია, პირდაპირი დასკვნის სახით არ გვთავაზობს თავის შეფასებას მომხდარის მიმართ, მაგრამ ეს შეფასება უნდა ამოვიკითხოთ არაპირდაპირი გზით, პერსონაჟის სიტყვაში, ან თუნდაც, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალში. ვაჟას პოზიციის დადგენა მით უფრო აუცილებელია ალაზას სიკვდილისწინა აღსარების ფონზე. კიდევ ერთხელ: ჯოყოლას სიტყვები სხვა არაფერია, თუ არა ალაზას გლოვის მიზეზის სრული გაზიარება და გამართლება ჯოყოლას მხრიდან. სავარაუდოდ, ამ დასკვნას იზიარებს ავტორიც, რადგან: *ამას ამბობს ქმარი. ეს აუცილებლად უნდა თქვას ქმარმა*, რათა ამ გლოვის უმაღლესი ზნეობრივი დანიშნულება დაადასტუროს.

არსებობის უფლება უნდა ჰქონდეს, ვფიქრობ, იმ მოსაზრებასაც, რომ, „ძმისმკვლელით მეტისმეტი აღფრთოვანება დააზიანებდა ჯოყოლას სახეს და ზვიადაურთან მის დაძმობილებას – შემთხვევის წყალობით ასე დამაჯერებელს – საეჭვოდ აქცევდა. ამიტომ ვაჟამ ეს ხაზი ალაზაში განავითარა, ჯოყოლას კი საბოლოო შეფასების კომპეტენცია მიანიჭა იმის აღიარებით, რომ ზვიადაური „კარგი ვაჟკაცი“ ანუ „კაი ყმა“ იყო – ლაკონურად და ღრმად, სულ ერთი წინადადებით“ (კვაჭანტირაძე 2013: 74).

განვმარტოთ: ჯოყოლა ვერ იქნება საკუთარი ძმის მკვლელის დამცველი. სიმპათიამ (ყოველ შემთხვევაში, გაცხადებული სახით) აქ აუცილებლად უნდა გადაინიოს უკანა პლანზე და ასეც ხდება. ვაჟას რეალობის გრძნობა არ ღალატობს, ზედმეტად არ განადიდებს თავისი გმირის რომანტიკულ, გნებავთ, ჰუმანურ ბუნებას და ჯოყოლას ქცევის მეტი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობისათვის სხვა ხერხს მიმართავს, კერძოდ: გაკვრით ახსენებს, რომ ჯოყოლა ხელფეხმეკრული დააგდეს წინაკარში („...დააგდეს, როგორც მკვდარია“) და სიუჟეტის მოქმედების განვითარების ხაზი ალაზაზე გადააქვს. ჯოყოლას ნაცვლად ალაზა მიჰყვება ზვიადაურს, დასტირის მას და მეორე დღეს ყველასგან მალულად ლემიჭამია ფრინველებსაც უგერიებს. ალაზა ჯოყოლას ქცევის პოტენ-

ციური განვითარების ვექტორს მიჰყვება, ჯოყოლა კი ცოლს საქციელს უწონებს. კიდევ ერთხელ: ის, რისი შესრულებაც ჯოყოლამ მეგობრის რანგში ვერ შეძლო, ვაჟა ალაზას ასრულებინებს ცოლის რანგში. ზვიადაურისადმი ალხასტაისძეების ერთგულების მაგისტრალური ხაზი ვაჟამ ორად გაყო და ჯოყოლასა და ალაზას შორის გაანაწილა. ჯოყოლას მიერ ზვიადაურის ვაჟკაცობის აღიარება და მის მიმართ მამაკაცური თანაგრძნობის გამოხატვა ქალის (ალაზას) მეშვეობითა და აქტიური თანამონაწილეობით ხდება: სწორედ ალაზა უწოდებს ზვიადაურს პირველად „კაი ყმას“ („ვინ გაჭმევს კაი ყმის ლეშსა...“). ალაზასავე სიტყვით ეძლევა პირდაპირი შეფასება ზვიადაურის მიმართ ჯოყოლაში აღძრულ გრძნობას: „ცრემლები შემინირია/ იმ შენი მეგობრისიდა“. სწორედ ალაზა გლოვობს ზვიადაურს, ალაზა პატრონობს ცხედარს, დაბოლოს, სწორედ ალაზა აღიარებს და შეფასებას აძლევს მომხდარს: „ორთავ შევცოდეთ ქისტებსა, /მათ შამიჩვენეს ქმარია.../მე უფრო დიდ ცოდვა მაქვს,/ უცხოხთვის ცრემლი ვღვარია.“

ალაზა ქალის რომანტიკული და იმავდროულად, ძალზე რეალისტური სახეა. ფსიქოლოგიურად უალრესად ზუსტი და მოტივირებულია ყველა მისი სიტყვა და ქცევა. ჯოყოლასნაირ ვაჟკაცს სწორედ ალაზასნაირი ქალი უნდა ჰყავდეს ცოლად, მაგრამ ვაჟას ფრთხილად გადააქვს ჩვენი განწყობა თუ ალქმა ზვიადაურზეც. ალაზა ცოლის რანგში დასტირის ზვიადაურს, ამდენად, იგი ზვიადაურის პროტენციური მენყვილცაა ცოლის რანგში. ამ მომენტში ალაზა, როგორც სხვაგან ვთქვით, „კაი ყმის“ მარადიული ცოლის როლს (ფუნქციას) ასრულებს პოემაში. ვაჟა ალაზას „დამდგარი მზის სხივების“ ფონზე, ბუნების საყოველთაო გლოვის ფონზე ხატავს. მისი ტირილი ისევე ბუნებრივად ეწერება „ღვთით ნაბრძანები“ ბუნების გლოვაში, როგორც „მთის ოხვრა“ და „წყლის ბორგვანა“, და ესაა ალაზას გლოვის მასშტაბის ერთი (გარე ბუნებასთან გაზიარებული) ასპექტი. რაც შეეხება მეორე ასპექტს – ზვიადაურისადმი თანაგრძნობის შინაგან მასშტაბს, მასზე საუბრისას თამაზ ჩხენკელის მოსაზრებას დავიმონებთ: „ასეთი „თანაგრძნობის“ ენერგიას პიროვნების შინაგანი არსების ყველა სფერო (! – მ.კ.) უნდა მოეცვა და „გულის“ უღრმეს და უძლიერეს განცდას უნდა დამყარებოდა“ (ჩხენკელი 1989: 182).

„მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს/ უცხოხთვის ცრემლი ვღვარია“ – ამ აღიარებას ფინალური სიტყვის სიხისტე და კატეგორიულობა ახლავს და წარმოგვიდგენს სიკვდილისათვის სავსებით მზადყოფ ადამიანს, რომელმაც იცის მიზეზი (სხვათა შორის, ზუსტად ასეთივე, სიკვდილისათვის მზადყოფი ადამიანის ქმედებაა ჯოყოლას მარტოხელა ომი ხევსურთა ლაშქართან). პოემის მე-13 თავში ვაჟა თითქოს ნიადაგს ამზადებს ალაზას ღრმა სასონარკვეთისა და საბოლოო გადანყვებილების

მიზეზის საჩვენებლად („უცხო კაცისა მოზარევ, / ხევსურთ მოგიკლეს ქმარია“). რჩება შთაბეჭდილება (დროში ერთგვარი ჩამორჩენის გამო: „ნადი, იტირე, ალაზავ...“ (ანმყო) „...საფლავიც გაუთხარია“ (წარსული)), რომ ამ სცენაში ალაზა საკუთარ შინაგან ხმას ესაუბრება და არა „სხვას“, თითქოს საკუთარ მეორე „მე“-ს, როგორც ანონიმურ თანამოსაუბრეს – უხსნის თავის სასონარკვეთილ მდგომარეობას.

და მაინც, რა იგლისხმება „უფრო დიდ ცოდვაში“, და რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აქ ცრემლს? ვაჟასთან ცრემლი განსაკუთრებული ემოციური მღელვარების ნიშანი და გულის სიტყვის ყველაზე თვალსაჩინო განსახიერებაა (გავიხსენოთ ალუდას, მამაკაცის ცრემლი მუცალის ცხედართან) – ეს ერთი. თავისიანისგან მკვდრის დატირების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და შესაბამისად, ალაზას ქცევის მოტივაციისთვის დამატებით არგუმენტს ვაჟას სიტყვებიდან ვგებულობთ მას შემდეგ, რაც ქისტებთან ომგადახდილი ხევსურები საკუთარ მკვდარს სამშობლოში წამოასვენებენ: „...ძვირად ღირს დანადინარი / თავისის ცრემლი მკერდზედა“. მანამდე გვიხსენოთ ზვიადაურის დედის სასონარკვეთილი გოდებაც: „როგორ ვიგონო თავისძე /ურჯულოს არემარეთა?...“ (შეიძლება საზღვრების უფრო გაფართოებაც ქართული პოეტური ტრადიციის კონტექსტში, მაგ., ბარათაშვილი: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში/ ჩემსა წინაპართ საფლავებს შორის“... „ნუ დამიტვიროს სატრფომ გულისა, ნათესავისა გლოვისა ნაცვლად, დამიტვირებენ სვავნი მყივანი“ და ა. შ. სადაც თავგანწირვის მასშტაბი განისაზღვრება უცხო მიწაზე დაუტირებლად სიკვდილისათვის მზაობით). აი, სწორედ ამ „თავისის“ როლს ასრულებს ალაზა ქისტეთში მოკლული ხევსურის წინაშე, ამ „ძვირად ღირებულ“ ცრემლს ღვრის ზვიადაურის ცხედარზე უფრო მაღალი სამართლის – მადლისა და სიბრალულის სახელით.

ალაზას ქმედებათა ამ რიგით ვაჟას სინათლე შეაქვს ზვიადაურის მიმართ ალაზას დამოკიდებულების სწორ შეფასებაში, რომელიც ეფუძნება ვაჟკაცობისა და ქალობის იდეა-ღირებულებათა საფუძვლიან და იმავდროულად ემოციურ აღქმას: ზვიადაური იმგვარი პიროვნული ძალის ემანაციაა, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ადამიანს არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ. რაც შეეხება ალაზას, ანტიკური ეპოსის პერსონაჟთა მსგავსად, იგი აქ ცხედარზე მზრუნველ, ნამდვილ და ერთგულ ჭირისუფალს განასახიერებს და ვინ შეიძლება ასეთად მივიჩნიოთ, თუ არა ცოლი ან დედა?

მაშინ რატომ იდანაშაულებს ალაზა თავს „უფრო დიდ ცოდვაში“? მთელი პოემის მანძილზე ვაჟა ცდილობს დამაჯერებელი ფსიქოლოგიური და მორალური მოტივაცია მოუძებნოს ზვიადაურისადმი გამორჩენილ თანაგრძნობას. მაშ, რატომ არ აღმოჩნდა საკმარისი საკუთარი გულის

სიმართლე ალაზასათვის? ნაწილობრივ ამის პასუხს უკვე სასაფლაოს სცენა იძლევა: „ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,/მეორით – ღმერთი ამინებს.../ ეს ფიქრი გონებისაა, გული თავისას შვრებოდა... და ა. შ.“ დიდი ფსიქოლოგიური სტრესისა და დანაკარგის შემდეგ – ჯოყოლას სიკვდილი, ომი, მსხვერპლი, სისხლისღვრა, თემისგან გარიყვა – ალაზაში ძალუმად იღვიძებს გონების ეჭვიანი ხმა და მთლიანად ანგრევს გულის ურყევ სიმართლეს. ალაზას, სავარაუდოდ, უჩნდება ეჭვი საკუთარი ვალდებულების მიმართ და ეს ეჭვი ასე ჟღერს: ვალდებული იყო თუ არა ალაზა ეგლოვა „უცხო“, როგორც ქმარი? (სწორედ ამ ეჭვის პასუხია ჯოყოლას სიტყვები „მუდამაც უხდება“ – ესე იგი, *ყოველთვის, ყველა სიტუაციაში, გამონაკლისის გარეშე, ანუ მარადიულ განზომილებაში*). ჯოყოლას მხარდაჭერა დროებით აქრობს ალაზას ეჭვს, მაგრამ მოგვიანებით, ქმრის თანადგომის გარეშე დარჩენილ ქალს იგი გამანადგურებელი ძალით ეუფლება და მთლიანად იპყრობს მისი ცნობიერების შიდა სივრცეს („გულს მიკლავს, გონებას მირევს/ ფიქრები გაუგებარი“). ზვიადაურთან საბედისწერო შეხვედრით გამოწვეული დანაკარგი ალაზას გონებაში მისი ცრემლის მადლს ცოდვად გარდაქმნის. ფინალურ სიტყვაში იგი უკვე „უცხო“ უწოდებს ზვიადაურს მაშინ, როცა ჯოყოლასთან ქმრის „მეგობრად“ მოიხსენიებს. ვფიქრობთ, „უფრო დიდი ცოდვის“ აღიარების მიღმა უნდა იგულისხმებოდეს ის სახსოვარიც, რომლის შესახებაც მხოლოდ ალაზამ იცის და რომელიც, შესაძლოა, ზვიადაურის გლოვის – და შესაბამისად, ცოდვის – დამატებით, ბოლომდე გაუცნობიერებელ მოტივაციას ქმნის ქალისთვის.

ის, რასაც ვაჟას გმირები აკეთებენ, პიროვნების პირადი ტვირთი და პასუხისმგებლობაა. თემი, როგორც უმაღლესი ერთობა, ხელშეუხებელია – ასეთია ალაზას სიკვდილისწინა აღიარების შინაარსი. აქაც ისევე, როგორც „ალუდა ქეთელურის“ ფინალში – „...თემს ნუ სწყევთ, ნუ გადიქცევით ცეცადა“...–ვაჟას შემოაქვს ელემენტი, რომელიც მომხდარის მიმართ არამხოლოდ ავტორის დამოკიდებულების ამბივალენტურობაზე მიგვითითებს, არამედ მის სურვილზეც, პერსონაჟთა მიმართ გაჩენილი ღრმა თანაგრძნობის ფონზე მკითხველმა ერთმნიშვნელოვნად არ აღიქვას მომხდარი. ეს გადანყვეტილება ალაზასთვის ცოდვად აღქმული პირადი არჩევანის გამოსყიდვის გზაა, რომელსაც ჯოყოლა სიტყვით არ აღიარებს, მაგრამ ხვესურებთან მარტოხელა ბრძოლითა და სიკვდილით გამოისყიდის.

ორივე სიკვდილი – თვითმკვლელობა, ანუ საკუთარი თავის მიმართ გამოტანილი განაჩენია.

თემის, როგორც ერთობის წინაშე პერსონაჟთა პასუხისმგებლობის თამასა, როგორც ვხედავთ, ძალზე მაღალია. ვაჟა პირდაპირ არაფერს

ამბობს იმაზე, თუ როგორია ალაზას სიკვდილისწინა შეფასების მიმართ მისი, როგორც ავტორის დამოკიდებულება. შეიძლება თუ არა, ვივარაუდოთ, რომ აქ ალაზა ვაჟას პირით ლაპარაკობს? ვფიქრობთ, ეს შეფასება ალაზას ეკუთვნის, რადგან ვაჟა იქაა, სადაც გაბრაზებული ლაპარაკობს „საზარელად მყვირალ მდინარეზე“, „ლამდალრენილ, სასტიკ შავ ხეობაზე“, მოკლედ, ბუნებაზე, რომელიც თითქოს მზადაა ამ სასონარკვეთილი, მშვენიერი მსხვერპლის მისაღებად. ავტორის პოზიცია მხოლოდ ბოლო თავში გაცხადდება მითის, ლეგენდის სახით, მას შემდეგ, რაც ვაჟა მოქმედების განვითარების დასასრულს ციკლურ (განმეორებად, „მბრუნავ“, შექცევად) დროს ჩართავს და თავის გმირებს ირრეალურ მითოსურ დროსივრცეში „დააბინავებს“. ზედროული სიტყვით ვაჟა ერთგვარად „ასწორებს“ „წუთისოფლის სიმრუდეს“, მზერას არიდებს ადამიანური არსებობის უცნაურობასა და საიდუმლოს, მაგრამ ამ არიდებს ცხოვრების უსამართლობით, მოუწესრიგებლობითა და ქაოტურობით აღძრული, პოეტის „ჯანღივით მიძიმე“ სევდა ახლავს.

„დახუჭა ქალმა თვალები, მსწრაფლად მორევში ჩაიქცა“ – ვაჟა ხატავს სურათს, სადაც წყლის მბორგავ, მშფოთვარე მატერიალურ სტიქიას უერთდება ადამიანის სიცოცხლე, მისი მღელვარე სული. სარტრის აზრით, „სხეული განსაზღვრავს (მონიშნავს) ფსიქიკურ სივრცეს. ესაა ფსიქიკურის რეალური მახასიათებელი იმ აზრით, რომ ფსიქიკური დაკავშირებულია სხეულთან მელოდიური ორგანიზაციით. სხეული წარმოადგენს მის სუბსტანციას და მტკიცე პირობას, სწორედ ის იჩენს თავს ფსიქიკურის განსაზღვრისას. სწორედ იგი განთავსდება მექანიკურ და ქიმიურ მეტაფორათა საფუძველში, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ კლასიფიკაციისა და ფსიქიკური მოვლენების ახსნის დროს. სწორედ მას ვაყალიბებთ ხატებში, რომელთაც ვქმნით, რათა წარმოვიდგინოთ მოუხელთებელი გრძნობები (Captr 2000: 259-260).

აბორგებული, ამღვრეული მდინარისა და ალაზას აფორიაქებული, ტრაგიკული, პირქუში ფიქრები, მათი პლასტიკის საერთო ძირები კონოტაციურ მნიშვნელობათა დონეზე ქალის განწყობის, მისი გულისა და გონების მშფოთვარე მდგომარეობის, მისი აბორგებული სულის ხატს ქმნის. „ჩაიქცა“ მოძრაობის განსაკუთრებული პლასტიკაა, წყლის ნაკადის პლასტიკის მსგავსი, რომელიც ერთიდან მეორე ჭურჭელში გადაქცევას, გადაღვრას გულისხმობს (ოლონდ ვერტიკალურ განზომილებაში – ზემოდან ქვემოთ). ვაჟა ისე ხატავს ამ ეპიზოდს, რომ, ერთის მხრივ, მნიშვნელობათა ასოციაციური გადაძახილი ქმნის განცდას, თითქოს ალაზა წყლის სტიქიას ერევა როგორც მისი ნაწილი, ერთი შენაკადი, თავისივე ბუნებრივ საწყისს დაბრუნებული. მეორეს მხრივ კი გაბოროტებული, განრისხებული მდინარის ფონზე საგრძნობლად ემორდებით წყლის,



როგორც მაცოცხლებელი, განმმენდი და გარდამქმნელი ძალის მნიშვნელობებს და მის საპირისპირო გააზრებას ვუახლოვდებით, რომელიც არაერთი ხალხის მითოსშია დადასტურებული. ამ გააზრების თანახმად, წყალი ჯერაც „გაუფორმებელი სიცოცხლის სათავეა, მასში ჩაკარგვა არა თუ ადამიანობის, როგორც ასეთის, საზოგადოდ რაიმეგვარი ფორმის სახის მოშორებაა – ეს, ჩანს, თავისი ინდივიდუალობის ტყვეობიდან გაქცევის გზაც არის“ (თუმანიშვილი 2001: 375).

ფინალურ სცენაში წყლის სწორედ ეს არქაული, ქაოტური, ყოვლისნამღეკი, უარყოფითი მნიშვნელობებია შემოტანილი: „მდინარე მოჭქუხს, მრისხანებს,/ ზედ ასქდებოდა ლოდებსა, დღესაც ისევე ბოროტობს,/ არ იცის, რისთვის ჰგოდებსა. /არ ეშინიან ტანჯვისა,/იმან არ იცის სიკვდილი,/ ერთი რამ იცის მხოლოდა: /ცრემლის ღვრა, მალლა ყვირილი,/ მუდამ ჟამს უცინარობა,/ მარტო ტირილი, ტირილი“... „რა საზარლადა ხმაურობს,/ როგორ საზარლად მდინარებს!/ ლაშ-დაღრენილი, სასტიკი/ შავი ხეობა მძვინვარებს“. წყლის ამ მრისხანე, ველური სტიქიის ხატი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აქ ბუნების სიმპათიკურ განცდაზე კი არაა საუბარი, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, არამედ „ჯერ გაუფორმებელ სიცოცხლის სათავეზე“. მასში დანთქმა ფარულად სწორედ ალაზას გაღვიძებული ინდივიდუალობის უკანდახევაზე, მარცხზე მიგვანიშნებს. ვაჟას აზრი დიდი ხელოვნებითაა „ჩანწული“ არამხოლოდ ალაზას სიკვდილისწინა აღიარებაში, არამედ აბორგენული წყლის სტიქიის მიმართ პოეტის აშკარად გამოხატულ გულისწყრომაში, ეს ორი ფაქტორი კი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის უმწეობისა და პიროვნული არჩევანის უკიდურესი სირთულის აღიარება, რასაც ნიადაგს უმზადებს ვაჟას გოდების ხმა სცენის დასაწყისში, სადაც იგი ღმერთს ბეჩავის, ტანჯულის შეწყალებას, მათი სულების მიბარებას თხოვს. ეს ხმა ბუნებრივად ერწყმის ავდრისა და მდინარის, ზოგადად, ბუნების იმ ხატს, რომელსაც ვაჟა პოემის ბოლოს წარმოგვიდგენს და ალაზას თვითმკვლევლობის სურათთან ერთად არამხოლოდ ყოფიერების მიმართ ვაჟას ღრმა იმედგაცრუებაზე მიგვითითებს, არამედ სწორუპოვარ ტრაგიკულ სცენას ქმნის.

ზვიადაურის სინათლემ მოხიბლა ჯოყოლა. მის სინათლეს გაჰყვა ალაზაც. ზვიადაურის სტუმრობა საბედისწერო აღმოჩნდა ქისტებისთვის.

**დამონებანი:**

- Vaja-Pshavela. *Leksebi, Motkhroebi, P'oemebi, P'iesebi*. Tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota Mts'erali“, 1960 (ვაჟა ფშაველა. *ლექსები, პოემები, მოთხრობები, პიესები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1960).
- Kvach'ant'iradze, Manana. *Vektorebi*. Tbilisi: gamomtsemloba “meridiani”, 2013 (კვაჭანტირაძე, მანანა. *ვექტორები*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013).
- Sartre, Zh.P. *Bytie i Nichto*. Moskva: izdatel'stvo “respublika”, 2000 (Сартр, Ж.П. *Бытие и ничто*. Москва: издательство „республика“, 2000).
- Tumanishvili, Dimit'ri. *Ts'erilebi, Nark'vevebi*. Tbilisi: gamomtsemloba “ts'minda nino”, 2001 (თუმანიშვილი, დიმიტრი. *წერილები, ნარკვევები*. თბილისი: გამომცემლობა „წმინდა ნინო“, 2001).
- Chkhenk'eli, Tamaz. *Mshvenieri Mdzlevari*. Tbilisi: gamomtsemloba “merani”, 1989 (ჩხენკელი, თამაზ. *მშვენიერი მძლევარი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1989).

**Manana Kvachantiradze  
(Georgia)**

**Psychological Motivations of Characters Actions in Vazha-Pshavela's  
„Host and Guest“: Agaza**

**Summary**

**Key words:** Agaza, motivation, mourning, compassion, personal responsibility.

In the article we analyze psychological motivation of woman character of Aghaza in Vazha Pshavela's poem „Host and guest“.

The battle with Zviadauri should be appraised by a person and not by a crowd as perception of crowd is spontaneous and lacks moral aspects. In the poem personal appraisal is given in the mourning of Agaza.

For Vazha Pshavela Agaza is an image of beauty, like natural phenomenon she is an organic part of world beauty. To such creation nature and tradition assigns obligation to mourn for „decent man“.

The obligation of mourning gives clear motivation to Aghaza's actions. Addressing heart is Vazha's style. On the one hand we can observe „Pan“ approach, when person prioritizes heart(nature) over mind, on the other hand - it is Christian concept of „heart“- the organ of compassion and love. Vazha Pshavela provides further emotional details of Agaza's compassion. Agaza adopts role of Zviadauri's wife. She represents symbolic function of eternal wife of „decent man“. In the poem

she does not directly approach Zviadauri as it is supposed during intimate dialogue, but instead she speaks in third person, as to other, as to stranger therefore indicating that her grief belongs to the role and not to reality.

Agaza's motivations in relation to Zviadauri are psychologically precisely elaborated by author. Special attention deserves the scene of cutting Zviadauri's moustache as a symbolic sign of his memory that is followed by Agaza's nightmares. She constantly hears voices of collective blaming. The reader can witness unclear, abstract thoughts and emotions of a woman that is stuck in her ambiguous condition. Consequently this internal battle drains all her energy.

Associations and compositional structures of the poem are built thoroughly. The voice of conscious revives face of Agaza's brother rather than of her husband. It is her brother that questions her as a woman; It is to her brother to whom Jokola justifies her mourning. Jokola (husband) validates the woman blamed by everyone, including himself: „it's always correct for woman to grieve for descent man”. These words had to be pronounced by a husband in order to defend the greater value of mourn. With these words Jokhola not only approves the highest force of compassion that exists beyond the time („always”) but he gives value of grace to Agaza's action („You have cried, its grace, who am I to judge you?”)

Vazha does not accentuate romantic, humanistic character of Jokola, instead he gives more realistic resolution: he divides Alkhastaidzes' devotion to Zviadauri between Agaza and Jokhola. Appraisal of his courage and masculine compassion is revealed by active incorporation of woman (Agaza). It's Agaza who first identifies him as a „decent man”. She is also the one who gives name to friendly feeling aroused in Jokhola towards Zviadauri. She mourns for Zviadauri, she takes care for his corpse and summerizes whole occurrence in the final scene of the poem.

Chain of actions explains Agaza's relation towards Zviadauri. Her perception of ideal man and ideal woman is at the same time value based and emotion-based. Like epic Greek characters Agaza represents authentic mourner that takes care of the corpse of the hero. But why the truth of her own heart is not enough for her?

After a huge psychological stress – death of Jokola, war, bloodshed, uncertain voice wakes up in Agaza's mind the and desstroys unshakable truth of her heart. Aghaza's doubt is probably related to her obligation.

The mind of a woman left without husband fully surrenders to a doubt („It kills my heart, muddles my mind with uncertain thoughts.”). The loss caused by fatal encounter with Zviadauri transforms grace of her tears into a sin. In her last words she mentions him as a „stranger” while talking to Jokhola she calls him „his friend”.

Every action of Vazha Pshavela's charcters is under their personal responsibility. Community as the higher unity is inviolable – this is the main idea of Agaza's final confession.

Turbulent river and tragic thoughts of a woman, her anxious state of mind and heart fully resonates with her turbulent state of soul. Unique plastic of her falling into the river is like streaming water plastic. The meaning of the word describing her movement is similar to action of pouring liquid from one vessel into another.

Whole picture represents fusion of Agaza with water as if she was one of its torrents returning to its original source. The same time observing cruel, angry river we get distanced from purifying connotation of water and come closer to its opposite idea that is common in mythology of various people.

Dissapearing in the water is the sign of death of her recently born individuality.

Author's position is manifested in the final chapter as a myth, legend. Vazha Pshavela introduces (cyclic) time therefore providing unreal, mythological time-space for his characters. This is an attempt to somehow balance unfair human existence, to avoid the mystery of human existence. However, this avoidance is accompanied by „heavy mist” of sadness caused by unfair, disorganized and chaotic human life.